17/09/2024

MES 0 24 0001145882

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისი N169 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
მარი მგელაძე- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
თამარ ფიფია- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს - დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადა:
ავთანდილ აბდუშელიშვილი - სკოლის დირექტორი

შპს დეა:
ვერა ყურულაშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წირქვალის საჯარო სკოლა:
მზევინარ ტაბატაძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლა:
ლელა გურგენიძე - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - ქალაქ თბილისის N126 საჯარო სკოლა:
ირინე მჭედლიძე - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტ ები):

შპს დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადა:

ა) ლელა ფიცხელაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო ელბაქიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი)

შპს დეა:

ა) თამარ კეშელავა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ეკა გოდერძიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წირქვალის საჯარო სკოლა:

ა) ანა კოკოჩაშვილი-ახვლედიანი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნათია ბრეგაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ეთერი ბროლაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ელენე ოგბაიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ეთერი ხობუა (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ინგა ხრიკაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნათია კურტანიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნიკოლოზ ჩუბინიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მაია ჩაჩხიანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) მანანა როსტომაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლა:

ა) ლელა ფიცხელაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნანა გიორგობიანი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნათია დარსაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ბექა კვაჭაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) მაია ქუთათელაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) სალომე არაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) დიმიტრი პოპოვი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ირინე ჯანაშია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნინო გორგილაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) თამარ ზედგენიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო ჯოჯიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ თბილისის N126 საჯარო სკოლა:

ა) ლელა ბუბაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) სოფიო ტარასაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო შუბლაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნიკოლოზ გურგენიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო მოლაშხია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნინო როსტომაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) გიორგი ჩაჩუა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მზია შევარდნაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნანა ცინცაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნათია კოხოძე (ზოგადი გმანათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2024 წლის 04 სექტემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადას მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადას მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს დეას მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წირქვალის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის გახილვა;
5. სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ქალაქ თბილისის N126 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და, შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

საბჭოს გადაწყვეტილებით, დღის წესრიგით გათვალისწინებული 1-ელი და მე-2 საკითხები გაერთიანებულ ფორმატში განიხილებოდა, რადგან შეეხებოდა ერთი სკოლის პროგრამების განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხებს.

1. **შპს დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადას მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;**

2. **შპს დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადას მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 12 აგვისტოს, ვიზიტის საფუძველს წარმოადგენდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების განაცხადებები. ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, განაცხადა, რომ დაწესებულება მდებარეობდა ქალაქ თბილისში, სერგი წულაძის 32დ-ში და სწავლებას ახორციელებდა დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებზე, ქართულ ენაზე. ექსპერტის თქმით, დაწესებულებამ იმავე მისამართზე შეიძინა შენობა, რომელიც არსებული, ავტორიზებული, სკოლის ნაწილი იყო. მისი თქმით, შენობები ისე ებმოდა ერთმანეთს, რომ ქმნიდა ერთ მთლიანობას. აქედან გამომდინარე, დაწესებულება ითხოვდა ქ. თბილისში, იმავე მისამართზე, სერგი წულაძის 32 დ-ში, ფართის დამატებას, სადაც განახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე.
ლელა ფიცხელაურის განმარტებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 21 ივნისის N684395 გადაწყვეტილებით, სკოლას მინიჭებული ჰქონდა ავტორიზაცია და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 1000 მოსწავლით. აქვე, ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა დასძინა, რომ დაწესებულება ითხოვდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1400-ით განსაზღვრას.
ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, ისაუბრა დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სკოლა მიმდინარე პროცესების შეფასებისა და საჭიროებების დასადგენად, სისტემატურად იწვევდა გარე ექსპერტებს, რათა დროულად შეძლებოდა რეაგირება პრობლემებზე და უზრუნველეყოთ მოსწავლეზე ორიენტირებული პოზიტიური გარემოს შექმნა. მისი თქმით, მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, დაწესებულება ყურადღებას უთმობდა არაფორმალურ განათლებას, სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებს სთავაზობდა მრავალფეროვან საკლუბო მომსახურებას მათი სურვილებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.
ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს აღნიშნული წარმოებების ფარგლებში დაევალა დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტანდარტის შესრულების შემოწმება. კერძოდ, შემოწმდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მე-3 სტანდარტი. ექსპერტის თქმით, მე-3 სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

“, რადგან კომპონენტები 3.4. და 3.6 შეფასდა, ,,მეტწილად შესაბამისად“. ლელა ფიცხელაურმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის საფუძველზე, სკოლას მიეცა რეკომენდაციები, კერძოდ, 3.4.1.1. ინდიკატორთან მიმართებით, დაწესებულებას შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (2024 წლის 10 სექტემბერი-2024 წლის 30 დეკემბერი) უნდა მიემართა სახანძრო ექსპერტიზის ბიუროსთვის, რათა დადგენილიყო გიმნაზიის შენობის კვამლაღმომჩენი, სახანძრო განგაშისა და ევაკუაციის მართვის სისტემების მდგომარეობის შესაბამისობა ,,შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან. აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით დაწესებულებას შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, 2024 წლის 10 სექტემბრამდე, უნდა უზრუნველყო ახალი შენობის კიბის უჯრედებში ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის დამონტაჟება, აგრეთვე, 2024 წლის 10 სექტემბრამდე უნდა დასრულებულიყო სკოლაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, კერძოდ, უნდა დამონტაჟებულიყო საკლასო ოთახის კარი, შეკიდული ჭერი და ლამინირებული იატაკი. ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, აქვე განმარტა, რომ 3.6.2.2. ინდიკატორთან მიმართებით, 2024 წლის 15 სექტემბრამდე დაწესებულებას უნდა შეეტანა ცვლილება საქმისწარმოების წესში და დაენერგა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს დაეზუსტებინა, რა მდგომარეობა იყო დაწესებულებაში და მზად იყო თუ არა სკოლა სასწავლო პორცესის დასაწყებად.
დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის დირექტორმა, ავთანდილ აბდუშელიშვილმა, განმარტა, რომ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულება სკოლამ უზრუნველყო, კერძოდ, დამონტაჟდა ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა, სკოლამ ასევე მოაწესრიგა სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სისტემა, ამავდროულად, სკოლას დაწყებული ჰქონდა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის დანერგვა. სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, საკლასო ოთახები სრულად აღიჭურვა. კერძოდ, დამონტაჟდა საკლასო ოთახის კარი, შეკიდული ჭერი და დაიგო ლამინირებული იატაკი. ავთანდილ აბდუშელიშვილის განმარტებით, დაწესებულება მზად იყო ახალი სასწავლო წლის დასაწყებად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

1. შპს დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადას მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების საკითხი;
2. შპს - დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადას მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1400-ით განსაზღვრის საკითხი.

სკოლის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო საბჭოს სხდომის ჩატარების დღე, 2024 წლის 04 სექტემბერი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 17:10
დასრულების დრო: 17:13

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

1. **გადაწყვეტილება:**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25^2 -ე მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, განხორციელდეს შპს დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადას (ს/კ: 206051396) მიერ ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადგილის ფართის ცვლილება.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, სერგი წულაძის 32 დ.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, სერგი წულაძის 32 დ.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, სერგი წულაძის 32 დ.

აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია 2024 წლის 04 სექტემბერი.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენი ლიდოკუმენტების განხილვით:**

საბჭომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაცია და რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება, კერძოდ, დაწესებულებას უნდა უზრუნველეყო შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება და ცენტრში 2025 წლის სექტემბერში წარდგენა.

2. გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16[2] მუხლის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 28-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 29-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, შპს - დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადას (ს/კ: 206051396) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1400-ით.
აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია 2024 წლის 04 სექტემბერი.

საბჭოს სხდომას 17:15 საათზე შეუერთდნენ საბჭოს წევრები, შალვა მეკრავიშვილი და პეტრე ბაბილუა.

3. შპს დეას მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ექსპერტმა, თამარ კეშელავამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 30 ივლისს. დაწესებულება მდეობარეობდა ქალაქ თბილისში, კრისტეფორე დე კასტელის ქუჩა № 9-ში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 3 თებერვლის N122146 გადაწყვეტილებით, სკოლას მიენიჭა ავტორიზაცია და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 300 მოსწავლით. აქვე, ექსპერტმა, თამარ კეშელავამ, დასძინა, რომ დაწესებულება ითხოვდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით განსაზღვრას.
ექსპერტმა, თამარ კეშელავამ, განაცხადა, რომ დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში გამოვლენილი ყველა ხარვეზი აღმოფხვრა, კერძოდ, მოიპოვა დასკვნა შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგრადობის შესახებ, ასევე, შეიძინა დოკუმენტბრუნვის ციფრული პლატფორმა Signify და უზრუნველყო პანდუსის დამონტაჟება. ასევე, სკოლის ვებ-გვერდზე განთავსდა სრულყოფილი დოკუმენტაცია. ექსპერტის თქმით, მე-3-ე სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს “, რადგან კომპონენტი 3.5. შეფასდა, ,,მეტწილად შესაბამისად“. აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში, კერძოდ, კი 3.5.1.4. ინდიკატორთან მიმართებით, სკოლას 2025 წლის 30 ივნისის ჩათვლით უნდა უზრუნველყო რესურს ოთახის მოწყობა.
ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა ღია სპორტული მოედანი, დახურული დარბაზი, ბიბლიოთეკა და სააქტო დარბაზი, ასევე, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, თუმცა, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს დაეზუსტებინა, რა მდგომარეობა იყო დაწესებულებაში და მზად იყო თუ არა სკოლა სასწავლო პრიცესის დასაწყებად.
დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა, ვერა ყურულაშვილმა, განაცხადა, რომ სრულყოფილად იყო მოწყობილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, კერძოდ, დასრულებული იყო კედლის კოსმეტიკური სარემონტო სამუშაოები. მისი განმარტებით, სკოლა მზად იყო მიეღო მოსწავლეები და ასევე, 1 წლის განმავლობაში დაწესებულება უზრუნველყოფდა რესურს ოთახის მოწყობასაც.
საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა, აღნიშნა, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურის ამსახველ ერთ-ერთ ფოტოსურათზე, სკოლის აბრა წარმოდგენილი იყო შემდეგი სახელით: ,,გენიოსი“. საბჭოს წევრმა, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეზუსტებინა საკითხი, სკოლის სახელწოდების შესახებ. დაწესებულების დირექტორმა, ვერა ყურულაშვილმა, განაცხადა, რომ სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის სახელი იყო ,,გენიოსი“, თავად დაწესებულებამ კი სახელწოდება შეიცვალა კანონმდებლობით დადგენილი წესით და ჩამოყალიბდა სახელით-შპს დეა სკოლა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს დეა სკოლის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით განსაზღვრის საკითხი.

სკოლის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო საბჭოს სხდომის ჩატარების დღე, 2024 წლის 04 სექტემბერი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 17:20
დასრულების დრო: 17:23

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16^2 მუხლის,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 28-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 29-ე მუხლის მე-12 პუნქტის და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს დეა სკოლას (ს/კ: 200055992) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით.

აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია 2024 წლის 04 სექტემბერი.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისგანხილვით**

საბჭომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაცია და რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება, კერძოდ, დაწესებულებას უნდა უზრუნველეყო რესურს-ოთახის მოწყობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა 2025 წლის აგვისტოში.

4. სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წირქვალის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან

მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ანა კოკოჩაშვილი-ახვლედიანმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წირქვალის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 24 და 25 ივნისს. სკოლა მდებარეობდა ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წირქვალში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 200. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 200 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდებოდა ერთ ძირითად სასწავლო კორპუსში და ერთ დამხმარე შენობაში. ექსპერტის თქმით, სასწავლო კორპუსში იყო 14 საკლასო ოთახი, 1 ბიბლიოთეკა, 1 რესურსოთახი, 1 ექიმის კაბინეტი, დახურული და ღია სპორტული დარბაზი (აღნიშნულს ესაჭიროებოდა რეაბილიტაცია), სამასწავლებლო, კომპიუტერული ლაბორატორია, დირექტორის კაბინეტი, ბუღალტრისა და საქმისმწარმოებლის კაბინეტი და სააქტო დარბაზი. პირველ სართულზე განთავსებული იყო 5 სველი წერტილი, რომელთაგან ერთი იყო ადაპტირებული. სკოლის დამხმარე შენობაში ფუნქციონირებდა 4 საკლასო ოთახი და ერთი სველი წერტილი. ექსპერტის განმარტებით, სკოლას არ ჰქონდა შიდა პანდუსი.

ექსპერტმა, ანა კოკოჩაშვილი-ახვლედიანმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულება ჩართული იყო საგანმანათლებლო პროექტებში, რომელთა მიზანსაც წარმოადგენდა მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება პროფორიენტაციის მიმართულებით. ამ მიზნით, სკოლას გაფორმებული ჰქონდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებთან. სკოლა ასევე ჩართული იყო USAID და PH INTERNATIONAL დაფინანსებით სამოქალაქო განათლების პროგრამაში, კონკურსის შედეგების მიხედვით, სსიპ-ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წირქვალის საჯარო სკოლამ მოიპოვა მცირე გრანტი საჭირო კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად. პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდა მშობელთა კლუბი, რომელიც ხელს შეუწყობდა მათ აქტიურ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. ყოველწლიურად სკოლაში ფუნქციონირებდა საზაფხულო ბანაკი, სადაც გაერთიანებული იყო თემის სხვა სკოლების მოსწავლეებიც. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი კოლეჯ“ იბერიასთან“ და სსიპ ქ. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტთან, პროფესიული უნარების განვითარების საორიენტაციო კურსის განხორციელების მიზნით, მოსწავლეებში მეცნიერების პოპულარიზაციის, მათი პროფესიული ორიენტაციისა და სკოლის პედაგოგების პროფესიული განვითარების ხელშესაწყობად. ასევე, სკოლაში ფუნქციონირებდა სამოქალაქო განათლების კლუბი „აისი“, რომელიც შექმნილი იყო სამოქალაქო განათლების ხელშეწყობის, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისა და აქტიური მოქალაქის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების მიზნით. აქვე, ექსპერტმა დასძინა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა ჭრა-კერვის კურსი, სამკერვალო პროფესიის პოპულარიზაციისა და შესწავლის მიზნით.

ექსპერტის თქმით, 2015 წლიდან 2023 წლამდე სკოლას ჩაუტარდა რეაბილიტაცია ადგილობრივი თვიმმართველობისა და ინფრასტრუქტურის სააგენტოს მხარდაჭერით.

ექსპერტმა, ანა კოკოჩაშვილი-ახვლედიანმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის

ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაიცა რჩევები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა, რამდენად უშლიდა ხელს სარეაბილიტაციო სპორტული დარბაზი სპორტის საგაკვეთილო პროცესის სრულფასოვნად ჩატარებას.
სკოლის დირექტორის, მზევინარ ტაბატაძის, განმარტებით, ვიზიტის პერიოდში სპორტული დარბაზის ჭერი იყო შესაღები, აღნიშნული პრობლემა სკოლას უკვე გამოსწორებული ჰქონდა. მისი თქმით, დაწესებულებაში ფუნქციონირებდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სპორტული დარბაზი და სპორტის საგაკვეთილო პროცესი სრულფასოვნად ტარდებოდა.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, სკოლას მისცა რჩევა, სამეურვეო საბჭოს სხდომის დროს დამსწრედ ჰყოლოდათ თანაბარი რაოდენობის მშობელი, მასწავლებელი და მოსწავლე.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, ასევე მისცა სკოლას რჩევა, მასწავლებელთა საგაკვეთილო პროცესზე დასწრების ოქმი ყოფილიყო უფრო ვრცელი და დეტალური, ასევე, დაეხვეწათ სასკოლო კურიკულუმები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წირქვალის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 17:45
დასრულების დრო: 17:50

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წირქვალის საჯარო სკოლას (ს/კ: 215606690) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო

დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფელ წირქვალი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფელ წირქვალი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფელ წირქვალი

5. სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 24 და 25 ივნისს. სკოლა მდებარეობდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის, სოფელ საკრაულაში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული

რაოდენობა იყო 80. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 80 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს"; მე-2 სტანდარტი (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით", ხოლო მე-3 სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს".

ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში იყო, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და კომპიუტერული ლაბორატორიები, ასევე, ბიბლიოთეკა და გარე სპორტული მოედანი. ექსპერტის განმარტებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიას ჰქონდა მთელი რიგი ინფრასტრუქტურული ხარვეზი და საჭიროებდა განახლებას.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული გარემოების საფუძველზე დაინტერესდა, რატომ წარმოადგენდა პრობლემურ საკითხს ეზოში მდებარე სველი წერტილის შემინვა და განათება.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, ლელა გურგენიძის განმარტებით, გარე სველ წერტილს ჰქონდა ბუნებრივი განათება, თუმცა სასწავლო წლის დაწყებამდე ჩასვამდნენ მინებსაც.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, დაწესებულებას მისცა რჩევა სკოლის ბიუჯეტი აეთვისებინათ მაქსიმალურად და გამოესწორებინათ ინფრასტრუქტურული ხარვეზები.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის განმარტებით, დაწესებულებას დაწყებული ჰქონდა ინფრასტრუქტურული ხარვეზების აღმოფხვრისთვის საჭირო სამუშაოები.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, რა ვითარება იყო დაწესებულებაში კადრების კვალიფიკაციის მიმართულებით.
დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწყებითი საფეხურის მათემატიკის ორი მასწავლებელი ასწავლიდა საბაზო/საშუალო საფეხურზეც, თუმცა სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 2025 წლის 15 სექტემბრამდე დაასაქმებდა მასწავლებლებს, რომელთა კვალიფიკაცია შესაბამისი იქნებოდა მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტს გაცემულ რჩევებთან დაკავშირებით მეტი დეტალი წარმოედგინა საბჭოს წევრებისთვის.
საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის, ბექა კვაჭაძის, განმარტებით, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა მათი მზაობა, შეექმნათ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სრულყოფილი რუბრიკები. ასევე, ექსპერტის თქმით, პედაგოგები იცნობდნენ ყველა იმ დოკუმენტს, რომლის თანახმადაც, უნდა დაეხვეწათ ზემოაღნიშნული.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის, ნათია დარსაძის, განმარტებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია საჭიროებდა სრულ რეაბილიტაციას და კეთილმოწყობას, რეაქტივები საჭიროებდა განახლებას. ექსპერტის თქმით, მოსწავლეები

საგაკვეთილო პროცესში იყენებდნენ გარკვეულ რესურსებს, თუმცა აღნიშნული არ იყო საკმარისი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგაკვეთილო პროცესის სრულფასოვნად წარმართვისათვის.
საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი, დაინტერესდა, რატომ ჰქონდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიას მსგავსი ინფრასტრუქტურული ხარვეზი.
სკოლის წარმომადგენლის, ლელა გურგენიძის, განმარტებით, მას შემდეგ, რაც ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან მიიღეს რეკომენდაციები და რჩევები, ნათელი გახდა თუ კონკრეტულად რომელი საკითები საჭიროებდა გამოსწორებას და ეტაპობრივად დაიწყებდნენ აღნიშნულზე მუშაობას. მისი თქმით, სკოლას ჰქონდა საკმარისი ფინანსური რესურსი და ხელისშემშლელი ფაქტორი არ არსებობდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 80 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 18:10
დასრულების დრო: 18:15

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლას (ს/კ: 225065247) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 80- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1		დაწყებითი	ქართული	

	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფელი საკრაულა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფელი საკრაულა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფელი საკრაულა

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის აგვისტოში 2.1 კომპონენტთან (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობისა და სათანადო რესურსებით აღჭურვის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. 2026 წლის აგვისტოში კი 3.1, 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და მათემატიკის მასწავლებლების კანონმდებლობის და სკოლის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად მასწავლებლის აყვანის, დაარქივებული საკლასო ჟურნალების დაცულ ადგილას განთავსების, სკოლის ეზოში განთავსებულ სველ წერტილში სინათლის წყაროს მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების, ასევე, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის გატარებული ღონისძიებების, საგანგებო სიტუაციების მართვის დამტკიცებული გეგმის, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნისა და შიდა და გარე პერიმეტრზე ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის მოწყობის, ასევე წიგნების, საბიბლიოთეკო წესით დამუშავებისა და ადაპტირებული გარემოს მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

6. სსიპ - ქალაქ თბილისის N126 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ბუბაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N126 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 10 და 11 ივნისს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას N71-ში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 1800. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1800 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 სტანდარტი (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს"; მე-3 სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს"რადგან კომპონენტი 3.5 (მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა) შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.
ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო, თუმცა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიას არ ჰქონდა გამწოვი კარადა და სკოლაში არ იყო დამონტაჟებული შიდა პანდუსი.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს დაეზუსტებინა, რა იყო მიზეზი იმისა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში არ იყო გამწოვი კარადა.
სკოლის დირექტორის, ირინე მჭედლიძის, განმარტებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობა იგეგმებოდა სკოლის შენობის მე-2 სართულზე და სწორედ აღნიშნულ ოთახში მოეწყობოდა გამწოვი კარადაც. სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, გაცემულ რჩევებთან და რეკომენდაციებთან დაკავშირებით აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა.
საბჭოს წევრის, ნატო გაბოშვილის, განმარტებით, სკოლა ჩართული იყო საჯარო სკოლების ავტორიზაციის პილოტირების პროექტში და ჰქონდა საკმაოდ ბევრი წარმატებული გამოცდილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N126 საჯარო სკოლის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1800 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 18:30
დასრულების დრო: 18:40

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N126 საჯარო სკოლას (ს/კ: 204859741) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1800-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმ ანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმა ნათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის აგვისტოში 3.5 და 3.4 კომპონენტებთან მიმართებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში გამწოვი კარადის დამონტაჟების, შიდა პანდუსის მოწყობისა და მთავარ შესასვლელ კარებთან ვიდეო-კამერების დამონტაჟების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 18:45 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა